საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004047

„18“ ოქტომბერი 2024 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
დეპარტამენტი; მის: ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას ქ. №2

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ჯორჯია სოილ კონსტრაქშენ კომპანი“
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
(ს/ნ 416311707) მის: ქობულეთის მუნიციპალიტეტი, ს. ცეცხლაური;
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)
დირ: მინისტრის 2021 წლის 5 მაისის
№2-266 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №004047
ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1.
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ №°004047 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2.

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 3 ფურცელი.

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

79⁸ მუხლის [illegible] [illegible] ნაწილის შესაბამისად.

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - მთავარი სპეციალისტი

ინსპექტორი [illegible] [illegible]

თანამდებობის პირის ხელმოწერა: [illegible]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible] [illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2024 წლის 18 სექტემბრის №004047 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე (153) შემოსული №DES12300070900 სატელეფონო შეტყობინების საფუძველზე, 2023 წლის 13 ივლისს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. აღთაკლიას მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული, შპს "რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანი"-ს (ს/კ 416311707) კუთვნილ მეტალურგიულ საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 5 მარტის №2-266 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2015 წლის 2 ივნისის №25 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირება.

ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. კომპანია, საწარმოს ექსპლუატაციას არ ახორციელებდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, მონიტორინგის გეგმის, შემარბილებელი ღონისძიებების ვალდებულებების და რეკომენდაციების შესაბამისად **(2015 წლის 2 ივნისის №25 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირველი პირობა)**. კერძოდ:

1.1. საწარმო არ არის აღჭურვილი ქაფწარმომქმნელი დანადგარებით და სახანძრო სტენდებით;
1.2. საწარმოში ნაცვლად გზშ ანგარიშით გათვალისწინებული 3 ერთეული მეხამრიდისა დამონტაჟებულია 1 ცალი მეხამრიდი;
1.3. საწარმოს ტერიტორიაზე არ არის განთავსებული ნარჩენების შეგროვებისათვის განკუთვნილი სპეციალური მარკირების მქონე, ჰერმეტულსახურავიანი კონტეინერები;
1.4. საწარმოს არ გააჩნია სამეურნეო ფეკალური წყლების შემკრები საკანალიზაციო სისტემა და ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა;
2. კომპანიას არ გააჩნია შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული მოქმედი "ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“ **(2015 წლის 2 ივნისის №25 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-2 პირობა)**.

გამოვლენილ დარღვევებზე, 2023 წლის 26 სექტემბერს, შპს "რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანი"-ს მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №078977 ოქმი, რომელიც დეპარტამენტის 2023 წლის 6 ოქტომბრის №DES62300074082 წერილით, განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ, 2023 წლის 31 ოქტომბრის №4-674-23 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად საქართველოს ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 5 000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული გადაწყვეტილება, კომპანიამ გაასაჩივრა ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 11 იანვრის №4/ა-1606-23 დადგენილებით, არ დაკმაყოფილდა შპს "რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანი"-ს საჩივარი და უცვლელად დარჩა 2023 წლის 31 ოქტომბრის №4-674-23 გადაწყვეტილება. შესაბამისად დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს "რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანი"-ს მიმართ დეპარტამენტის მიერ შემუშავდა 2024 წლის 18 სექტემბრის №004047 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2024 წლის 18 სექტემბრის №004047 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს "რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანი"-ს (ს/კ 416311707) კუთვნილ მეტალურგიულ საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 5 მარტის №2-266 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2015 წლის 2 ივნისის №25 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს "რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანი" ვალდებულია:**

1. კომპანიამ, საწარმოს ექსპლუატაცია, **ახალი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებამდე, მუდმივად განახორციელოს** გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, მონიტორინგის გეგმის, შემარბილებელი ღონისძიებების ვალდებულებების და რეკომენდაციების შესაბამისად **(2015 წლის 2 ივნისის №25 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირველი პირობა), მათ შორის:**

1.1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს საწარმოს აღჭურვა ქაფწარმომქმნელი დანადგარებით და სახანძრო სტენდებით გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

1.2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს საწარმოში დამატებით 2 ერთეული მეხამრიდის დამონტაჟება გზშ ანგარიშის შესაბამისად;

1.3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიაზე შესაბამის უბნებში, ნარჩენების შეგროვებისათვის განკუთვნილი, სპეციალური მარკირების მქონე ჰერმეტულ სახურავიანი კონტეინერების განთავსება;

1.4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში** უზრუნველყოს სამეურნეო ფეკალური წყლების შემკრები საკანალიზაციო სისტემის და ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიის შესაბამისად;

2. **ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, **საწარმოში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით,** ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა. შეთანხმების შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს პროექტში წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების და დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების დაცვა **(2015 წლის 2 ივნისის №25 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-2 პირობა).**